

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(118) 2016 წ. 16-30 აპრილი ფასი 50 თეთრი

## სასმელი წყლის ახალი მაგისტრალი
## სოფელ უდაბნოში
### წყლის მიწოდება მუდმივი იქნება

ინფრასტრუქტურა

**ჩვენი** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებისთვის სოფელ უდაბნოს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი ადრეც და ბოლო ათეული წლების მანძილზეც ნამდვილ "თავის ტკივილად" იყო ქცეული, ხშირად ზიანდებოდა და დღესაც ზიანდება მაგისტრალი, მწყობრიდან გამოდის ჭაბურღილებში ძრავები, 2014 – 2015 წლებში ზაფხულის პერიოდებში რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ავტომობილ-ცისტერნებით მოხერხდა წყლის მიწოდება აქაურებისთვის, თუმცა ახლა ივნისის ბოლომდეც გაგრძელდება ეს პრობლემა ... შემდეგ კი, მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მოპოვების გზების ძიება, მრავლობითი დაზიანებების შეკეთების საჭიროება აღარ იქნება, რადგან დღეს აქ სასმელი წყლის ახალი მაგისტრალი კეთდება. ახალი მაგისტრალის ზუსტ პროექტირებაში უდიდესი წვლილი შეიტანა პროექტის ავტორმა, სოფელ უდაბნოში მცხოვრებმა **ალეკო ბელაშვილმა**, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ სოფლის მაცხოვრებელია, 1984 წლიდან უდაბნოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ამავე სოფლის გამგებლის მოადგილედ, გამგებლად. ბოლო ხანს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტია.*** სწორედ მას ვთხოვეთ დღეს ესაუბრა სოფელ უდაბნოსთვის სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის მშენებლობის და საბოლოო შედეგების შესახებ:



- მაგისტრალი, რომელიც დღეს მშენებლობის ეტაპზეა, სრულიად ახალი პროექტითაა დაპროექტებული. საქმე იმაშია, რომ 1984 წელს სოფელ თოხლიაურიდან გამოყვანილ იქნა სასმელი წყლის მაგისტრალი, რომელიც სულ 38,5 კმ. სიგრძისაა. მაგისტრალი ზოგიერთ ადგილას ვენახებზე, კერძო ნაკვეთებში გადის, არის ადგილი, სადაც ის ხევებშიც გადის. დაზიანების შემთხვევაში ძნელია ვენახებში შესვლა, ხევებში ტრანსპორტის მიყვანა. ასევე, ძნელდება კონტროლიც. ხშირ შემთხვევაში წლების განმავლობაში ხდებოდა ახლომდებარე მეცხოველეობის ფერმების მეპატრონეთა მიერ უნებართვოდ მილის დაზიანება და საკუთარი საჭიროებებისათვის გამოყენება. ყოველივე ეს მოგეხსენებათ, დიდ ზიანს აყენებს მთლიან მაგისტრალს. ამასთან, მაგისტრალი ჩადის სოფლის ქვემოთ და იქიდან, სოფლის ბოლოდან შემოდის, რაც რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს წყლის წნევაზე. წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ცუდად გვახსენდება უდაბნოელებს 1990-1995 წლები, როცა განუკითხაობის გამო იძარცვებოდა სატუმბი სადგურები, რის შედეგადაც 5 წელი საერთოდ არ გვქონდა ამ მაგისტრალიდან სასმელი წყლის მოწოდების საშუალება. ამასთან, ელექტროენერგიის ცვლადი ძაბვის გამო ხშირად იწვებოდა ტუმბოები. სიმართლე გითხრათ, დღესაც (ჩაწერილია 20 აპრილს) დაზიანებულია აღნიშნულ მაგისტრალზე ტუმბო და აქედან პირდაპირ იქ მომიწევს უდაბნოელებისათვის მისახმარებლად წასვლა.



დღეს სოფელ თოხლიაურიდან სოფელ უდაბნომდე სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის მშენებლობა მართლაც დიდი იმედია უდაბნოელთათვის. სახელმწიფო დაფინანსებით ამ პროექტის განხორციელებაზე 4 მილიონ 369 ათასი ლარია გამოყოფილი. სამუშაოები იანვარში დაიწყო და ივნისის შუა რიცხვებისთვის დამთავრდება. სამუშაო ტემპი მართლაც მაღალია. დღეისთვის 19 კილომეტრ მანძილზე უკვე ჩაწყობილია მილები მიწაში ერთი მეტრის სიღრმეზე, 20 კმ-ზე 219 მმ დიამეტრის მქონე მილები იქნება ჩაწყობილი, რომლებიც რკინა-პოლიეთილენისაა, ხოლო დანარჩენი მილები კი პოლიეთილენის იქნება, სულ მაგისტრალის სიგრძე 27 კმ-ია, მაშინ, როცა პირველი, დღეს მოქმედი მაგისტრალი 38.5 კმ სიგრძისაა.





აქაური მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისათვის 2 ცალი 2 ათასტონიანი ავზი გვაქვს. დღეს თქვენც ნახეთ, სწორედ ამ ავზების ტერიტორიის შემოღობვაზე მუშაობდნენ მუშები. აქვე იქნება საქლორატორო, სამორიგეო. ვფიქრობთ, 4000 ტონა წყალი სოფელს უნდა ეყოს თავისი საჭიროებისათვის. უბრალოდ, შეიძლება წყლის დებეტის დაცემის, ან მოხმარების მოთხოვნილებების გაზრდის გამო წლის რაღაც პერიოდებში მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდოს წყალი.

რაც შეეხება სატუმბ სადგურებს, აქ ისევ ორი სატუმბი სადგური იქნება, ერთი ე.წ. ყორუღთან და ერთიც ე.წ. "კოდასთან" (მარხვაშვილების ფერმასთან), აქ დამონტაჟდება ახალი ტუმბო-აგრეგატები. ამავე სადგურებში დღეს 24 საათიანი მორიგეობაა და ასეც დარჩება...



რაც შეეხება სოფელში სასმელი წყლის მილებით დაქსელვას და მრიცხველების დაყენებას, ეს საკითხი თქვენც ნახეთ, მალე ბოლომდე მივა. შიდა ქსელის სიგრძე მთლიანად 10 კმ 600 მეტრის სიგრძისაა. სოფელში 235 აბონენტი იქნება (აქ იგულისხმება მოსახლეობა, საბავშვო ბაღი, სკოლა და სხვ.). ჯერჯერობით კი, როგორც აღვნიშნეთ, ისევ ძველი მაგისტრალით ვსარგებლობთ, რომელიც ხშირად ზიანდება.

***– სასმელი წყლის სხვა მაგისტრალზე რას იტყვით. საინტერესოა ისიც, რომ აქ, სოფელში გასული საუკუნის 80-იან წლებში შემოყვანილი საირიგაციო სისტემა კარგად ემსახურებოდა აქაურებს...***

– რაც შეეხება პალდოდან სასმელი წყლის მოწოდებას, აქაც დიდი პრობლემები გვხვდება, მაგრამ ასე თუ ისე, ეს მაგისტრალი რაღაცნაირად ემსახურება სოფელ სათაფლეს მოსახლეობას და ჩვენც. თოხლიაური – უდაბნოს მაგისტრალის ამოქმედება საშუალებას მოგვცემს უჯარმიდან მოწოდებული წყალი მეცხოველეობის ფერმებისთვის გამოვიყენოთ. მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლის კუთვნილ ტერიტორიაზე მეცხოველეობის 90 ფერმაა, აქედან 30 თოხლიაური – უდაბნოს სასმელი წყლის მაგისტრალის გასწვრივ. ასე, რომ წყალი მეცხოველეობის ფერმებსაც სჭირდებათ.

უჯარმა – სართიჭალა – სათაფლე – უდაბნოს სასმელი წყლის მაგისტრალი სულ ახლახანს გაკეთდა, მაგრამ ამან შვება არ მოგვიტანა უდაბნოელებს. მაგისტრალის მართვასაც ბევრი სიძნელე შეხვდა – რელიეფის გამო ზოგან ზიანდება მილები...

საირიგაციო სისტემის ამოქმედება უდაბნოს ოაზისად აქცევს. 80-იან წლებში აქ მოყვანილი საზამთრო უდაბნოელებს რუსეთის ბაზრებზე გაჰქონდათ გასაყიდად. საკარმიდამო ნაკვეთებსა და დიდი ფართობის ნაკვეთებში აქაურებს უმაღლესი ხარისხის დიდი ოდენობის კარტოფილი, ლობიო, სიმინდი, შაქრის ჭარხალი მოგვყავდა. ერთხელ შაქრის ჭარხლის ერთმა ძირმა 25 კგ. აიწონა. აქაური მაცხოვრებლები შრომას არც თაკილობენ და არც ეზარებათ, ისე რა გაუძლებდა აქაურ პირობებს. ადრე 4200 ჰექტარი მიწა სარწყავში იყო, სამი სატუმბი სადგური მარტო ე.წ. " ყარადუზზე " ფუნქციონირებდა. დღეს ჩვენი ქვეყნის მთავრობის ყურადღება სოფლების გასარწყავებისკენაა მიპყრობილი. თუ უდაბნოს გასარწყავება მოხდება, რაზედაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უკვე მიმართა შესაბამის უწყებებს, მაშინ სოფელ უდაბნოში მიგრაციის მაგიერ, დემოგრაფიული მაჩვენებელიც მაღალი იქნება და აღარც მიტოვებული სახლები იქნება...

№8(118) 2016 წელი, 16-30 აპრილი

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



**19 აპრილი 2016 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი*** უძღვებოდა.

თათბირზე მუნიციპალიტეტის ხაშმის, უჯარმის, გიორგიწმინდის, ბადიაურის, დიდი ჩაილურის და სხვა სოფლების გამგებლის წარმომადგენლებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია ადგილზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. პრობლემებს შორის გამოიკვეთა თითქმის ყველა სოფლისთვის საერთო – სასმელი წყლის დეფიციტი, რაც გამოწვეულია ბუნებაში მიმდინარე პროცესების ზეგავლენით – წყლის დებეტის შემცირების მიზეზით.

დეტალურად იქნა განხილული თითოეულ სოფელში მიმდინარე ის სამუშაოები, რომლებიც სასმელი წყლის მოსახლეობისთვის ნორმალური მომარაგების საკითხს მოაწესრიგებს. სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციები შეჯამებულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგე ბექა ფეიქრიშვილთან ერთად.

თათბირზე, ასევე, განიხილეს მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების სოფლების მოსახლეობის მიერ ტერიტორიების დანაგვიანების შესახებ. ეს შეეხო ბადიაურსა და იორმუღანლოს შორის არსებულ სტიქიურ ნაგავსაყრელის გარშემო ტერიტორიას, ასევე, მთელი რიგი სოფლების მიმდებარედ არსებულ ხევებს, პატარა მდინარეების ნაპირებს.

თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თათბირს ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები*** **მიხეილ სვიმონიშვილი და გიორგი რევაზიშვილი.**

**26**



**აპრილი, 2016 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი*** უძღვებოდა.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა ტერიტორიულ ერთეულებში ისაუბრეს სოფლების მოსახლეობის წინაშე არსებულ იმ საკითხებზე, რომლებიც მართალია თანდათან წესრიგდება, მაგრამ ზოგიერთი პრობლემის მოგვარებას დრო სჭირდება. ასეთ პრობლემად კვლავ დასახელდა სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხი. აღნიშნული პრობლემა მხოლოდ წყლის დებეტის ნაკლებობაზე როდია დამოკიდებული, – ხშირად ხდება სასმელი წყლის მაღალი წნევის გამო მაგისტრალის დაზიანება, ცვლადი დენისა და წყლის ბუნებრივი მინარევების გამო ზიანდება ჭაბურღილის ტუმბოები. გამოიკვეთა სხვადასხვა ისეთი საკითხებიც, რომელთა მოგვარებაც „სოფლის პროგრამის" პროექტით მალეა შესაძლებელი. თათბირზე კიდევ ერთხელ ძირეულად იქნა განხილული სწორედ ამ პროგრამით განხორციელებული პროექტების დაფინანსება, დაზუსტდა მოსახლეობის მიერ დასახულ;ი პრიორიტეტული საკითხები.

გამგებლის მოადგილემ დავით ივანიშვილმა გამგებლის წარმომადგენლებს გააცნო ის ცვლ;ილებები, რომელიც განიცადა სოციალურად დაუცველთა სოცდახმარების პროგრამამ (დეტალურად ამ ცვლილებებს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში). ამასთან, მანვე სთხოვა გამგებლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად-დაუცველთა სია, რადგან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა მათ სააღდგომო საჩუქრებს ამ დღეებში გადასცემთ.

თათბირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები მიხეილ სვიმონიშვილი და დავით ივანიშვილი.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**27 აპრილი, 2016 წელი**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი.**

დღის წესრიგის I და II საკითხებზე „ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები"-ს სახელწოდების შეცვლის შესახებ" და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი"-ს სახელწოდების შეცვლის შესახებ" მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მეზვრიშვილმა**.

მესამე და მეოთხე საკითხებზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ" მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა **თინათინ ძაბილაშვილმა** (ვრცელ ინფორმაციას შემოგთავაზებთ გაზეთის მომდევნო ნომერში).

სხდომაზე საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და მუნიციპალიტეტის 100%–იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის № 7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა **კახაბერ მარგებაძემ.**

საგარეჯოს მცხოვრებ მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების ნუმერაციის შესახებ საკითხები საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლ;ობის კომისიის თავმჯდომარემ **ელდარ მეფარიძემ.**

სხდომის მსვლელობისას საკრებულოს წევრების: ზურაბ ქურთიშვილის, ნიკოლოზ ნაცვლიშვილის, კაზამფარ მამედოვის შეკითხვებს უპასუხეს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების უფროსებმა თინათინ ძაბილაშვილმა, გიორგი ქურდოვანიძემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა მოსმენილ და განხილულ საკითხებზე მიიღეს შე-

## სოფლის მეურნეობა

# პროგრამა მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებლად 140 ჰექტარზე ვენახი გაშენდება

**“მცირემიწიან** ფერმერთა ხელშეწყობის” პროგრამის განხორციელება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემით დაიწყო.

ჩვენმა მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წლის ადრეულ გაზაფხულზე 12050 სასოფლო-სამეურნეო ბარათი მიიღო. აქედან ხვნის ბარათი – 8025 ცალი, აგრობარათი – 4025 ცალი. მოსახლეობაში დარიგდა 6500 ხვნის ბარათი. რაც შეეხება ხვნის ბარათების აგრობარათებზე გადაცვლის პროცესს, ეს პროცესი 1303 ბარათმა გაიარა.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე “მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის” პროგრამით ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 2060 ჰა მოიხნა. რაც შეეხება პროგრამის გარეთ, აქ 5000 ჰა მიწის ფართობია მოხნული. სულ კი 7060 ჰექტარია მოხნული. თუმცა, აქ ციფრმა თავისუფლად შეიძლება 8 ათას ჰექტარსაც გადააჭარბოს. ძირითადად მოხნულია სოფელ გიორგიწმინდაში - 1250 ჰა მიწის ნაკვეთი, ქ. საგარეჯოში - 1800 ჰა, პატარძეულში - 650 ჰა, ნინოწმინდაში – 560 ჰა, მანავში – 400 ჰა, შპს “TR georgia project-2”- ს (მფლობელი რაშიდ მანიში) 360 ჰა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახნავი მიწის ფართობი 30471 ჰექტარს მოიცავს. საშემოდგომოდ მოიხნა 7985 ჰა, 7250 ჰექტარზე მარცვლოვანი კულტურები ქერი და ხორბალი დაითესა. დანარჩენი 735 ჰექტარიდან 140 ჰექტარზე გაშენდება ვენახი, 595 ჰა-ს კი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ბაღჩეულ-ბოსტნეულის მოსაყვანად ამზადებს.

*გივი ათაბეგაშვილი*

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი***



# აპრილი ჩვენს მუნიციპალიტეტში



## შშმ პირებს ეტლები გადაეცათ

**საგარეჯოს *მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** ომის ვეტერან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სოფ. ხაშმში მცხოვრებ ალექსანდრე ყვარელაშვილს თავად ეწვია და ეტლი გადასცა. – „გასულ და მიმდინარე წელს გამგეობამ შშმ-ებს 18 ეტლი გასცა, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ დონორ ორგანიზაციებთან, რათა შევძლოთ მხარი დავუჭიროთ მსგავსი პრობლემების მქონე მოქალაქეებს და მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ მდგომარეობა“ – განაცხადა გიორგი გზირიშვილმა.





ალექსანდრე ყვარელაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა გიორგი გზირიშვილს და განაცხადა, რომ „ეტლი ძალიან მნიშვნელოვანი საჩუქარია მისთვის, რადგან მას კვლავ შეეძლება დამოუკიდებლად გადაადგილება“. აღსანიშნავია, რომ ეტლები არის თანამედროვე ტიპის, რბილი სავარძლის მქონე და საკმაოდ კომფორტული. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებას“ აქტიური მხარდაჭერისთვის.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი, *ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი* სოფო შაქარაშვილი** და ***მთავარი სპეციალისტი* ქეთევან ბედიაშვილი** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოჯახს ესტუმრნენ და ეტლი პირადად გადასცეს. დავით ივანიშვილის განცხადებით გამგეობა ყველანაირად ცდილობს უზრუნველყოს მსგავსი საჭიროებების მქონე ბენეფიციარები, რომელთაც აქვთ გადაადგილების პრობლემა. ოჯახის წევრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას გაწეული დახმარებისთვის.

## გავუფრთხილდეთ გარემოს დასუფთავების აქცია



**22 აპრილი** დედამიწის დღე არის, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ჩაილურის ციხის მიმდებარე ტერიტორია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. აქციაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებთან ერთად დიდი და პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

## არასამთავრობო ორგანიზაცია “PIN”-ის საჩუქარიახალგაზრდებს

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ადამიანი გაჭირვებაში“ (“People in Need”).




აღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰყავს ახალგაზრდული კომიტეტი, სადაც გაწევრიანებულნი არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები.

“ადამიანი გაჭირვებაში“ არის ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 2005 წლიდან და ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ახალგაზრდების ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების პროექტი, აღნიშნული პროექტი ხორციელდება წყალტუბოს, თერჯოლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. გასულ წელს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციის და ახალგაზრდული კომიტეტის ერთობლივი მუშაობით შედგა სამოქმედო გეგმა.




აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში უნდა დაიხარჯოს 70000 ლარი, პროექტი სრულად ფინანსდება მსოფლიო ბანკისგან. სამოქმედო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 12 სოფელში (გიორგიწმინდა, გომბორი, კოჭბანი, უჯარმა, ხაშმი, იორმუღანლო, შიბლიანი, კაკაბეთი, მზისგული, მანავი, ვერხვიანი, უდაბნო) უნდა შეიქმნას ახალგაზრდული კლუბები აღჭურვილი შესაბამისი საოფისე ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით.



ქ. საგარეჯოსა და შემდეგ 19 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, გომბორი, უჯარმა, პატარა ჩაილური, თოხლიაური, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, ლამბალო, თულარი, დუზაგრამა, ყანდაურა) უნდა გადაეცეს სპორტული ინვენტარი.

ქ. საგარეჯოსა და შემდეგ 12 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, გომბორი, უჯარმა, კოჭბანი, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, უდაბნო) გადაეცემა მუსიკალური ინვენტარი.




საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან **არჩილ ჯაბადართან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ქ. საგარეჯოს სპორტდარბაზებს და სტადიონს ეწვია და სპორტული ინვენტარი გადასცა.




საოფისე ინვენტარი უკვე მიეწოდა სოფ. ხაშმს, გიორგიწმინდას, შიბლიანს, კაკაბეთს, მზისგულს, მანავს და ვერხვიანს, ხოლო დანარჩენ სოფლებს ინვენტარი ეტაპობრივად გადაეცემათ უახლოეს მომავალში.



# აპრილი ჩვენს მუნიციპალიტეტში




## საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში

**საბავშვო** ბიბლიოთეკაში, ქ. საგარეჯოს მე-2 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ეკატერინე გაბაშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გაცნობა .



## საგარეჯოში დედაენის დღე აღნიშნეს.




**საბიბლიოთეკო** კვირეულის ფარგლებში, საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკაში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. რომლის ორგანიზატორი საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშო განყოფილება გახლდათ.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი ლექსები ქ. საგარეჯოს №1 და №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს.



აღნიშნულ ღონისძიებას საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი ლია გოდერძიშვილი, ღონისძიებაში მონაწილე ბავშვების მშობლები და ბიბლიოთეკარები დაესწრნენ, რომლებმაც მომავალ თაობას დედაენის დღე მიულოცეს, ამ დღის მნიშვნელობა შეახსენეს და კარგად სწავლისკენ მოუწოდეს.

## მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი საგარეჯოში

**19 აპრილს,** ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი საგარეჯოს ერთ დღიანი გასტროლით ეწვია, კულტურის სახლში, წარმოდგენილ იქნა რეჟისორ- დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლი “ არ დამივიწყო” .

სპექტაკლში მონაწილეობდნენ პავლე და ვახტანგ ნოზაძეები, ნინო ლეჟავა, ნაირა გელაძე, ვახტანგ ახალაძე, ქეთი ქიტიაშვილი, ვანო დუგლაძე, ირაკლი ხვთისიაშვილი.

„არ დამივიწყო“ რევაზ მიშველაძის ნოველების მიხედვით აგებული ერთ მოქმედებიანი დრამაა. მწერალი მამა და აფხაზეთის ომში დაღუპული შვილი-ავტობიოგრაფიული ნოველაა, 80 წელს მიტანებული რაჭველი ბაბუას ამბავი დაცარიელებული მთის პრობლემას ეხება, მეორე მსოფლიო ომში დაკარგული საყვარელი ქმრის მაძებარი ქალი და უჩვეულო სატელეფონო „რომანი“ .

სპექტაკლში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული- მამა-შვილობა, მოლოდინი და ერთგულება, ამქვეყნიური ცხოვრება და გარდაცვალება, სიყვარული და მომავლის იმედი...

საგარეჯოელმა მაყურებელმა სცენაზე ცრემლიანი, სულშიჩამწვდომი წარმოდგენა იხილა. საქათრველოს საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ. კულტურის ობიექტების გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი ლიანა გოდერძიშვილი ესწრებოდა, სადაც გაიმართა კრებულის „პოეტი ბიბლიოთეკარის“ მეორე გამოცემის პრეზენტაცია. საბიბლიოთეკო ასოციაციამ ეს წიგნი საჩუქრად გადასცა ყველა ბიბლიოთეკას, მათ შორის საგარეჯოს ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც. წიგნში შესულია 24 ბიბლიოთეკარის ლექსები. საგარეჯოს ცენტარალური ბიბლიოთეკის თანამამშრომლები მადლობას უხდიან საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს ქალბატონ რუსუდან ასათიანს საჩუქრისთვის, ქალბატონებს ინგა ლორიას, მაია მიქაბერიძეს და წიგნის გამოცემაში მონაწილე ყველა პირს.

ბიბლიოთეკის წიგნების თაროს, პრეზენტაციის შემდეგ ეს წიგნი შეუერთდა და ელის პოეზიით დაინტერესებულ მკითხველს.

## გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება



**ქ. საგარეჯოს** ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში, თანამედროვეობის უდიდესი მწერლის, პოეტის, კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საგარეჯოს რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჯაბადარი, პედაგოგები, ბიბლიოთეკარები და გოდერძი ჩოხელის შემოქმედების თაყვანისმცემლები.

ქ. საგარეჯოს 1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გააცოცხლეს გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და შემოქმედება. მოეწყო მისი ცხოვრების ამსახველი ფოტო გამოფენა.



ღონისძიება №1 საჯარო სკოლის დამსახურებული პედაგოგის ნელი ქაიხოსროშვილის ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც მხარდაჭერა საგარეჯოს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გაუწია.

## 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია

**საგარეჯოს** ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში, ქ. საგარეჯოს 1 საჯარო სკოლის მე-10 და მე-6 კლასის მოსწავლეებმა შოთა რუსთაველის საიუბილეო წელთან დაკავშირებით ღონისძიება ჩაატარეს. ბავშვებმა პროექტორის მეშვეობით დამსწრე საზოგადოებას უჩვენეს ამონარიდები „ვეფხისტყაოსნიდან“ და წაიკითხეს ლექსები. მოეწყო რუსთაველის ცხოვრების ამსახველი ფოტო გამოფენა.

ღონისძიება საგარეჯოს №1 სკოლის პედაგოგის მარინა ნარიმანიშვილის ორგანიზებით ჩატარდა, რომლელსაც მხარდაჭერა საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების სპეციალისტმა მარიამ თედიაშვილმა გაუწია.



## ანიმაციური ფილმების ჩვენება საგარეჯოში

**ქ. საგარეჯოს** კულტურის სახლში, „ანიმაციის განვითარების ფონდი“-ს ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, გაიმართა „ბარაბან-შოუ“ და ანიმაციური ფილმების ჩვენება. პატარებმა იხილეს ქართული და უცხოური ახალი ანიმაციური ფილმები, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიერ შესრულებული ანიმაციური ფილმი, რომელიც ხატვის ნიჭით დაჯილდოებულმა მოზარდებმა შექმნეს პროფესიონალ ანიმატორებთან ერთად. ანიმაციის შექმნაში მონაწილეობდნენ: ეთო ელერდაშვილი, მარიამ კერატიშვილი, ლაშა კერატიშვილი, სალინა ზუბიტაშვილი, ნაზი თედიაშვილი, ქეთი როსტიაშვილი, ქეთი ელერდაშვილი, თემო სუკასიანი, თევდორე თულაშვილი, ვანო კევლიშვილი, ნანუკა ცხვარიშვილი, ლიზი კერატიშვილი, ლიზი ასთავიშვილი, თაკო დარისპანაშვილი, მანჩო ყაზარაშვილი და ლიკა მახარობლიშვილი.

საგარეჯოელი ბავშვების მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი მონაწილეობას მიიღებს ანიმაციური ფილმების მე-8 საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზი“-ს მთავარ ღონისძიებაში, საკონკურსო პროგრამა - „ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ანიმაციური ფილმი“. რომელიც გაიმართება ქალაქ ბათუმში, ოქტომბრის თვეში.

„ანიმაციის განვითარების ფონდი“-ს წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას აქტიური მხარდაჭერისთვის.

~ საკვირაო სკოლა საგარეჯოში ~

# ჩვეულებრივი სახლის არაჩვეულებრივი სტუმრები

**არიან** ადამიანები, რომლებიც თავიაანთ საკეთებელს დიდი რუდუნებით, სიყვარულით, პატივისცემით აკეთებენ. დაიწყებენ, ჩანაფიქრის



ხორცშესხმას გადაწყვეტენ, დიდი რუდუნებით აგურს – აგურზე ამატებენ, თან განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიზუსტით, ემანდ არაფერი შემეშალოს, ზედმეტი არაფერი გამომივიდეს, ან არაფერი დავაკლოო. დიახ, არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სულიერი სამყარო მოსვენებას არ აძლევს, რაღაც თუ ვიღაც ავალდებულებს, ანგარიშს სთხოვს – რისთვის მოვიდა, რა მისია აკისრია ამქვეყნად, რითი უნდა დაბრუნდეს იქ, სამუდამო სამყოფელში, როგორ წარდგება წინაპართა წინაშე, რას ეტყვის, შეასრულა თუ არა მათი დანაბარები, როგორ მოუარა, როგორ უპატრონა ენას, მამულს, სარწმუნოებას...

ქალბატონი, რომელთანაც დღეს ინტერვიუ გვაქვს, თითქმის ყველა საგარეჯოელისთვის და არამარტო საგარეჯოელისთვისაა ცნობილი... ცნობილი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით, თავისი მდიდარი სულიერი სამყაროთი, ქალბატონი, რომელზედაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ "მართალი". ეს სიტყვა კი ქრისტიანულ-ქართულ ენაზე სიყვარულით შემოსილ, სიყვარულის გამღებ ადამიანს ჰქვია. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ძალიან ცოტა დადის ქართულ მიწაზე ასეთი და რაოდენ საამაყოა, როცა ერთი ასეთი მართალი ჩვენს ქალაქსაც ალამაზებს და მოზარდ თაობას სულიერ საზრდოს აძლევს.

სწორედ ასეთია ქალბატონი **დარეჯან გილაშვილი**, მკვიდრი საგარეჯოელი. საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ისტორიკოსის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ საგარეჯოს. მუშაობდა სკოლებში მასწავლებლად, სხვადასხვა დროს იყო საგარეჯოს პროფესიული სასწავლებლის და საგარეჯოს ქართულ-უკრაინული სასწავლებლის დირექტორი. ორივე სასწავლებელში სწავლასთან ერთად საინტერესო ღონისძიებები იმართებოდა, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მათი პედაგოგ-აღმზრდელები, მშობლები, საზოგადოება... მათ მიერ მომზადებული ღონისძიებები იმართებოდა სხვადასხვა რაიონების სასწავლებლებშიც...

ვის აღარ მიწვდენია ქალბატონი დარეჯანის მიერ --- სხივი, მადლი სიკეთისა, ნამცეცი სიყვარულისა...

ერთხანს თითქოს სამსახურის გარეშე დარჩა (საგარეოს პირველ საჯარო სკოლაში ორგანიზატორის შტატი გაუქმდა), მაგრამ ეს მცირე "შესვენება" აღმოჩნდა... ასეც ვიცოდი, თავად ვერ გაჩერდებოდა უსაქმოდ, თავისი საყვარელი საკეთებლის გარეშე და აი, სოციალურ ქსელში გამოჩნდა მის მიერ დაარსებული, სულჩადგმული საკვირაო სკოლა, რომელიც ჯერ დიდი ინტერესით, შემდეგ კი დიდი სიყვარულით მიიღო სოციალური ქსელების მომხმარებელმა.

არ მინდა ინტერვიუ დავიწყოთ ისე, რომ ჯერ მისი ოჯახი არ გაგაცნოთ, ოჯახი, რომელიც მართლმადიდებლური სულითაა გაჯერებული, ოჯახი, რომელიც ქალბატონ დარეჯანს ყოველთვის გვერდით უდგას – მხნედ, ბურჯად, მეგობრულად – ფიზიკურად და სულიერად.

დარეჯან გილაშვილისა და თამაზ გრატიაშვილის ოჯახში ორი ვაჟი აღიზარდა – გიორგი და ოთარი. ოთარი ამჟამად ოჯახით ქუთაისში ცხოვრობს, გიორგი კი ერთხანს ინგლისში სწავლობდა, ახლა კი საგარეჯოშია. სწორედ ისინი "უთმობენ" თავიანთი ოჯახის დიასახლისს – ქალბატონ დარეჯანს საკვირაო სკოლის მოსწავლეებს მთელი დღეების განმავლობაში, ისინი უთმობენ თავიანთ სახლს, ეზოს, თავიანთ თავისუფალ დროს და თუნდაც იმ ყურადღებას და სითბოს, რაც მათთვის ქალბატონი დარეჯანისგანაა განკუთვნილი. მაგრამ სხვაგვარად არც მათ შეუძლიათ... სამივე აკეთებს იმას, რაც სისხლსა და ძვალში აქვთ გამჯდარი – მოყვასის სიყვარული, სიკეთის უშურველად, დაუნანებლად გაცემა და ქველმოქმედება...

ბარაქალა მათ ადამიანობას, მათ ქართველობას!

***– ქნო დარეჯან, როდის და როგორ ჩამოყალიბდა საკვირაო სკოლა?***

– საკვირაო სკოლის ჩამოყალიბების იდეა ჩემში 12 წლის წინ გაჩნდა. შევქმენი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რაიონის სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებისთვის სწავლებას. პროექტში გათვალისწინებული იყო სხვადსახვა სექტორების მუშაობა მოსწავლეთა ასაკის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საკვირაო სკოლის პროექტი იყო საინტერესო და სასურველი მოზარდი ახალგაზრდობისთვის, მაგრამ რამდენადაც პროექტი დიდი იყო მოცულობით, შესაბამისად მოითხოვდა დიდ ხარჯებს.

საკვირაო სკოლის იდეის ხორცშესხმისთვის კურთხევა ავიღე ჩემი მოძღვრის – მღვდელი გიორგი პავლოვისგან და იმ დღიდან დავიწყე დაფინანსების ძიება. ასე გავიდა რამდენიმე წელი, ხან შეპირებული თანხების ლოდინში, ხან კი ძიებაში. რამდენიმე ხანს თითქოს უიმედობის გამო უარი ვუთხარი ჩემს თავს და დავნებდი საზოგადოების და მავანთ და მავანთ გულგრილობას სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ არ მასვენებდა შინაგანად რაღაც ენერგია თუ ძალა, ასეთ დროს უხერხულობას ვგრძნობდი კურთხეული საქმის მიმართ. და ბოლოს, მივიღე გადაწყვეტილება, რომ თავად საკუთარი შესაძლებლობებით დამეფუძნებინა – საქველმოქმედო საკვირაო სკოლა.

2014 წელს საქველმოქმედო საკვირაო სკოლამ ჩემს სახლში დაიწყო ფუნქციონირება.



დასაწყისში 5 მოსწავლე მყავდა, სულ მალე სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები შემოგვიერთდნენ. სასწავლო პროგრამა ხელახლა შევიმუშავე მოსწავლეთა ასაკის და შესაძლებლობების შესაბამისად.

***– იქნებ გვითხრათ რა მონაცემების მიხედვით არჩევთ მოსწავლეებს?***

– მინდა გითხრათ, რომ მოსწავლეებს არც ვეძებ და არც რაიმე კრიტერიუმებით არ ვარჩევ. ვთვლი, რომ მოსწავლე, რომელიც ჩემამდე მოვა, უფლის გამოგზავნილია, მე კი მის წინაშე რაღაც ვალდებულება მაქვს, სულ ერთია, რა ასაკისაა და რა მონაცემები აქვს.

ხშირად მეუბნებიან, რომ თითქოს ამბობენ, რომ მაქვს გარკვეული დაფინანსება და ამას არ ვამხელ. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ არავითარი დაფინანსება არ მაქვს, არავინ არ დგას ჩემს უკან – ჩემთან უფალია!

***– სულ რამდენი მოსწავლე გყავთ ამჟამად საკვირაო სკოლაში?***

– საკვირაო სკოლაში დღეისათვის უკვე 20 მოსწავლე გვყავს. 14 უმცროსჯგუფელია. 6 კი უფროს ჯგუფშია. ყველა ერთმანეთზე ლამაზი და ნიჭიერია. ვცდილობ, ხშირად შევახვედრო ერთმანეთს უფროსი და უმცროსი ასაკის ბავშვები ორი მიზეზის გამო: პირველი, რომ პატარებს ძალიან უყვართ უფროსები და მეორე – პატარები მუდმივად ცდილობენ მიბაძონ უფროსებს. ცდილობენ კითხვებზე პასუხი დაას-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

~ 2016 წლის ოქტომბრის არჩევნები ~

# შევა თუ არა „საარჩევნო კოდექსში" ცვლილებები?! იქცევა თუ არა ტვირთად წინასაარჩევნო პერიოდი?! როგორი დეპუტატი მინდა მყავდეს?!

**დღეს** ბევრი კითხვა ჩნდება 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტი 5 აპრილს გამოსცა, სადაც არჩევნების დღედ 8 ოქტომბერია მინიშნებული. აღნიშნულ სამართლებრივ აქტზე ხელმოწერით დადასტურებაზე საქართველოს პრემიერმა 14 აპრილს უარი განაცხადა და საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, შეეცვალა განკარგულების თარიღი



და იგი 8 ივლისს გამოეცა. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის თხოვნას 14 აპრილსვე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პრეზიდენტი დაარწმუნეს – საარჩევნო კამპანიის დაწყება არჩევნებამდე 60 დღეზე ადრე ქვეყნისთვის დამღუპველი იქნებოდა, მაგრამ იქვე იყო მინიშნება, რომ არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას მაისში გამოსცემდა და არა ივლისში

მაგრამ, თუ გადავხედავთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს და დავეყრდნობით "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონს, "პრემიერის მოტივირებული შენიშვნების მიღებიდან 10 დღის ვადაში პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის შენიშვნების შესაბამისად ცვლილება შეიტანოს თავის სამართლებრივ აქტში და ამ სახით ხელახლა გადასცეს იგი პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისთვის, თუ მთავრობა კვლავ არ მოიწონებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, საქართველოს პრეზიდენტს აღარ შეუძლია გადასცეს პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისთვის იმავე შინაარსის სამართლებრივი აქტი მისი განმეორებით უარყოფიდან 6 თვის ვადაში"...

მაგრამ, გამოსავალი რა არის მაშინ თუ პრეზიდენტი და პრემიერი ვერ შეთანხმდებიან არჩევნების თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებით?! – მაშინ შესაძლოა "საარჩევნო კოდექსში" ცვლილებები შევიდეს...

„რაც შეეხება იმას, თუ როდის უნდა დაიწყოს უშუალოდ წინასაარჩევნო პროცესი, აქ საჭიროა გონივრული და რაციონალური მიდგომა. წინასაარჩევნო პერიოდი არ უნდა იქცეს გარკვეულ ტვირთად ჩვენი სახელმწიფოსთვის, ბიზნეს სექტორისათვის, ინვესტიციებისათვის, იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მგრძნობიარეა ჩვენთან სხვადასხვა სფერო არჩევნების მიმართ. ეს, ალბათ, ბოლო გამოწვევაა, რომელიც გვიდგას და მომავალში ასეთი გამოწვევები აღარ იქნება" – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა. მართლაც, ძნელია ქვეყანამ 6 თვე წინასაარჩევნო რეჟიმში იცხოვროს იმ დროს, როცა უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, დასახვეწი და მისაღები მნიშვნელოვანი კანონები, და იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მთელი წლის ნაშრომის მოსავლის მიღებას ცდილობს?..

ამ ექვსი თვის განმავლობაში თავად მოსახლეობასაც ეცვლება "გუნება-განწყობილება" თავის რჩეულის მიმართ. დღეს გაკეთებულ არჩევანს, ხვალ სხვა შეცვლის და ა. შ. თუმცა, აღარც დეპუტატობის კანდიდატები აღელვებს ადამიანებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ. მაგრამ, დიდ ქალაქებთან შედარებით, ვნებათაღელვა მძაფრი უფრო სოფლებში ხდება – აქ "თავიდან ფეხებამდე შიფრავენ" დეპუტატობის კანდიდატებს, თითოეული ოჯახის პრობლემის მოგვარებას "ავალდებულებენ" და წინასაარჩევნო შეხვედრებშიც მხოლოდ პირად პრობლემებს გადასცემენ. ასეა და რა ქნან?!

ამას წინათ პატარა ჩაილურელებთან მომიწია შეხვედრა სოფლის სკვერში, ხის გადაჭრილ მორზე ჩამოსკუპებული ბერიკაცები მოვიკითხე. შემდეგ კი ერთი კითხვით მივმართე მათ: როგორი დეპუტატი გინდათ გყავდეთ პარლამენტში-მეთქი. შედარებით ახალგაზრდებმა მიგვატოვეს, მოხუცებმა კი რა ვიცი, შვილო, ხალხისთვის უნდა ზრუნავდესო.

**ოთარ ყავრიშვილი:** - დეპუტატი ხალხზე უნდა ფიქრობდეს, წელიწადში ერთხელ მაინც მოვიდეს ჩვენთან, ვინც ის ავირჩიეთ და შეგვეკითხოს, რა გვინდა. ჩემთვის სულ ერთია, სადაურიც გინდა იყოს, ჩვენზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს...

**ტრისტან ჩიხლაძე:** - სოფელში რა იყიდება, ვინ ყიდულობს არც კი ვიცით, შეიძლება საძოვრის გაყიდვა სოფლისთვის? სად წავიყვანოთ ნახირი, სად ვაბალახოთ, საძოვრები ჩვენს სოფელს არა აქვს. აი, ასეთი პრობლემების მოგვარებაზე უნდა ზრუნავდეს ჩვენი არჩეული.

**ზაურ გზირიშვილი:** - მართალია ტრისტანა, საძოვრები სოფლისა უნდა იყოს, ისე როგორ შეიძლება, საძოვრების გარდა სხვა პრობლემებიც არის ჩვენ სოფელში და სხვა სოფლებშიც. დეპუტატი ხალხში უნდა ტრიალებდეს და იმის ტკივილების დაყუჩებაზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს. მართალია, ნელ-ნელა ყველაფერი კეთდება სოფლებში, მაგრამ მთავარი მაინც უმუშევრობა, დაუსაქმებლობაა...



## საკვირაო სკოლა საგარეჯოში

# ერთი ჩვეულებრივი სახლის უჩვეულო სტუმრები



**დასასრული**

წრონ და ამით ძალიან ბედნიერები არიან ... ეს ყველაფერი ხდება არასასკოლო საგაკვეთილო ფორმატში. ყველა მათგანი თავისი სურვილითაა მოსული და შესაბამისად სასწავლო განწყობაც სხვაა.

***– ყველა სახის სკოლა სასწავლო რეჟიმს მოითხოვს. როგორია თქვენი სასწავლო რეჟიმი?***

– ვმეცადინეობთ კვირაში ორჯერ, ან სამჯერ. გააჩნია რა საკითხებზე ვმუშაობთ. თუ ვამზადებთ რაიმე ღონისძიებას, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გვჭირდება კვირაში სამი დღე. მიუხედავად იმისა, რომ დღეში ორი, ხან კი სამი საათიც გვიწევს მუშაობა, არ ვიღლებით არც მე და არც ბავშვები და უფრო მეტიც, ხანდახან ბავშვებს სახლში წასვლა აღარ უნდათ. კონკრეტულად გეტყვით – ერთ-ერთი ღონისძიების მზადებისას ორი მოსწავლე დავტოვე (მარიამ ბეჟიტაშვილი და გვანცა ესაიაშვილი) და დამატებით ვამეცადინებდი. ჩავთვალე, რომ ბავშვები გადაიღალნენ და ვუთხარი, ახლა ერთიც გავიმეოროთ და შეგიძლიათ შემდეგ წახვიდეთ. ამ დროს გვანცამ გადაულაპარაკა მარიამს: - "ცოტა ნელა თქვი, რომ ჯერ არ წავიდეთ"-ო...

***– საინტერესოა, რას ითვალისწინებს თქვენი სასკოლო პროგრამები?***

–ჩვენი სკოლის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად საქართველოს ისტორიის საკითხების სწავლებას. ვსწავლობთ ასევე წმინდანთა ცხოვრებას. ბავშვები ეცნობიან წმინდა წერილებს... სწავლობენ მხატვრულ კითხვას. განვიხილავთ სულხან – საბა ორბელიანის იგავ-არაკებს. უფროსი ასაკის ბავშვები წერენ ესეებს. ვქმნით მინი-პიესებს, რაც ძალიან მოსწონს ყველა ბავშვს და საოცრად ხალისობენ.

გასული წლის ოქტომბერში გვქონდა მიწვევა სატელევიზიო გადაცემაში (ტელევიზია ობიექტივში) ჟურნალისტ ილია ჩაჩიბაიასთან. გადაცემაში, რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი ვერ წავიყვანეთ. გარკვეული დაძაბულობის მიუხედავად, გადაცემა საინტერესოდ წარიმართა. გადაცემის დასრულების შემდეგ ტელევიზიის თანამშრომლები ბავშვებს გულში იკრავდნენ. ამავე გადაცემის შემდეგ დაგვიკავშირდა მაყვალა ბერიანიძე, რომელიც გახლავთ საქართველოს ისტორიის წიგნების ავტორი. მან საჩუქრად თავისი საავტორო წიგნები გამოგვიგზავნა.

საკვირაო სკოლაში სხვადასხვა დროს მოწვეული გვყავდა ჩვენი საკვირაო სკოლის მოძღვარი, მამა გიორგი, წმ. დოდო გარეჯელის ტაძრის მედავითნე ქალბატონი ელენე მამაიაშვილი. ვცდილობ მეცადინეობებზე ხშირად დაესწრონ მშობლები, ასევე გვქონდა შემთხვევები, როცა მეცადინეობებზე დაგვესწრნენ ქალბატონები, რომელთაც აინტერესებდათ რა ხდება საკვირაო სკოლაში.

***– რას იტყოდით უშუალოდ თქვენს მოსწავლეებზე?***

– მინდა გითხრათ, რომ ყველა მათგანი ძალიან მიყვარს. თითოეულს აქვს თავისი სახასიათო ნიშა. მაგ: როცა ვმუშაობ ნანუკა კავთუაშვილთან, ვცდილობ შევურჩიო მისი ხასიათისთვის მორგებული ლექსი, როლი და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან ნიჭიერია და ყველაზე ადვილად ითვისებს, ვცდილობ არ გადავღალო, თუმცა ყოველთვის მზად არის ახალ-ახალი დავალებებისათვის.

არაჩვეულებრივია ლიკა მელაშვილი, რომელზედაც თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ სიცოცხლითა და ხალისით სავსე, უნიჭიერესი ბავშვია. ძნელია ვისაუბრო ყველა ბავშვზე ცალ-ცალკე. მარიამ ბეჟიტაშვილი - ეს ის ბავშვია, რომელიც ჩემს ყველა სიტყვას "იტოვებს" გონებაში. საყვარელი ბავშვები არიან გვანცა ესაიაშვილი და მარიამ ბუჩაშვილი (რომელიც წყაროსთავიდან დადის ჩვენს სკოლაში), ყველაზე ცელქი და ონავარი იოსებ ღრეული. საბა ნარიმანიშვილი ასაკით ყველაზე პატარაა და საოცრად მობილიზებული. გვყავს დიდი ნინო (მელაშვილი) და პატარა ნინო (ჭიაბერაშვილი) ორივე ნინოზე დიდი სიყვარულით მინდა ვთქვა, რომ არიან ძალიან ნიჭიერები და მოკრძალებულები. სულ ახლახანს შემოგვიერთდნენ ძმები ნოდარი და საბა კუჭუაშვილები და ნანუკა (ხუროშვილი).

სხვადასხვა ღონისძიებების გარდა ხშირად გვაქვს გასვლითი გაკვეთილები. სულ ახლახანს ბავშვებს გავაცანი მახათას მთის ისტორია. მოვილოცეთ მახათას მთაზე ჯერ კიდევ მშენებარე ტაძარში ათონის მთიდან მობრძანებული ივერიის ღვთისმშობლის ხატი. მოვილოცეთ ქ. რუსთავში 49 მირონმდინარე ხატი.

15 აპრილს გვქონდა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო "იასამნობა" და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო და ლამაზი დღე გვქონდა მე და ჩემს პატარებს.

***– ქალბატონო დარეჯან, ამ ხნის მანძილზე თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი რა იყო?!***

– გითხარით, რომ ყველა დღე ჩვენთვის საინტერესოა. მე მათ მოსვლას ყოველთვის ხალისით ველოდები და შემდეგ მათ ნაფეხურებსაც სიყვარულით ვასუფთავებ. ერთ მეცადინეობაზე მე მათ დასაწერად მივეცი ესსე – "ქუჩაში მოხუცი შემომხვდა"... დავალება ყველა მათგანმა მოიტანა და იცით რა მოხდა?! – შევძრწუნდი... ეს იყო ბავშვების თვალით დანახული მოხუცების უმძიმესი ფიზიკური, სულიერი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ვიგრძენი როგორ იყო დამძიმებული თვითონ ბავშვების სული, აქ იყო შიში მომავალი ცხოვრების, მოხუცებულობის. ბავშვებს ესსეს კითხვის დროს ხმა ებზარებოდათ, ეტირებოდათ. რა თქმა უნდა, შევძელი მდგომარეობის განმუხტვა – (ძალიან ვნანობ, რომ ეს გაკვეთილი არ გადავიღე...) სამი დღე ვფიქრობდი – რა მექნა?! და მაშინ გადავწყვიტე ჩემი სკოლის სასწავლო გეგმაში ჩამემატებინა საათები, რომელიც იუმორს დაეთმობოდა, რაც ბავშვებს საშუალებას მისცემდა გახსნილიყვნენ. გადაწყვეტილებამ არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო. ამით მე შევძელი მესწავლებინა ბავშვებისათვის ერთი ბრძნული გამონათქვამის არსი – "როცა ვერ ცვლი პრობლემას, მაშინ შეცვალე შენი დამოკიდებულება პრობლემისადმი" ანდა, "არც ისე რთულია ცხოვრება"...

მაისის თვეში დაგეგმილი გვაქვს ღონისძიება – "იუმორი ჩვენი ცხოვრების ნაწილია", - ვფიქრობ საინტერესო იქნება.

***– საუბრის დასაწყისში თქვენ თქვით, რომ საკვირაო სკოლა გაქვთ საკუთარ სახლში. როგორ ხვდებიან "სასკოლო აურზაურს" თქვენი ოჯახის წევრები?***

– დიახ, ეს ის საკითხია, რომლის შესახებაც მეკითხება თითქმის ყველა. მე, ჩემი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, დასაწყისშივე შევუთანხმე მეუღლეს და შვილს (თამაზ და გიორგი გრატიაშვილებს). მინდა მადლობა ვუთხრა მათ თანადგომისთვის. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა უსადილოდ დარჩენილან იმიტომ, რომ არ მეცალა, ან სახლი ისე იყო გადატვირთული, რომ სამზარეულომდე ვერ მისულან. არ მქონია შემთხვევა, რომ ამის გამო მათ გამოეთქვათ საყვედური და ვთვლი, რომ ჩემი ქველმოქმედების ნახევარი მათ ეკუთვნით...

ჩვენ დაგვიკავშირდნენ წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანებების საჯარო სკოლიდან და მიგვიწვიეს მათთან. შევთანხმდით, რომ ერთმანეთს შევხვდებით ქ. ქუთაისში და გვექნება სპორტული და ინტელექტუალური მეგობრული კონკურსი – "მეგობრობა გზად და ხიდად". თუმცა, ჯერ-ჯერობით ვერ შევძელი მომეპოვებინა დაფინანსება მგზავრობისათვის, მაგრამ იმედი მაქვს უფალი შეგვეწევა და მაისის თვეში მაინც შევძლებთ წარმატებით დავაგვირგვინოთ ეს გამოწვევა.

***– ამჟამად რისთვის ემზადებით?***

– ახლა ვამზადებთ ღია გასვლით გაკვეთილს წმინდა მამა გაბრიელის შესახებ. ვაგრძელებ ჩემს პატარა "ჟურნალისტებთან" ერთად რუბრიკას "ჩვენ თქვენით ვამაყობთ". აღნიშნული რუბრიკის მიზანია ბავშვები გაეცნონ ჩვენი რაიონის უფროსი თაობის წარმატებულ ადამიანებს. ბავშვებს პირველი შეხვედრა – ინტერვიუ ჰქონდათ რაიონის უხუცეს, 81 წლის ოქროს მედალოსანთან ბატონ გურამ აზარიაშვილთან, ქალბატონ ნაზი არჯევანიძესთან (ვერცხლის მედალოსანი), ქალბატონ ლეილა ოტიაშვილთან (ოქროს მედალოსანი, ექიმი). უახლოეს დღეებში ისინი ეწვევიან სხვადასხვა თაობის ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს. ოქროს მედალოსნებს, ქალბატონებს: მარინა ილაურს, მაია ანუაშვილს, მანანა ბურდულს, ასევე ბავშვები შეხვდებიან ქალბატონ ცისმარი ტოპეშაშვილს (ვერცხლის მედალოსანს) და ა. შ. საინტერესო ინტერვიუ ჩაწერეს ქალბატონ ცინარი კონიაშვილთან (საკრებულოს თანამშრომელი) და ქალბატონ ლალი ჯულაყიძესთან, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ამერიკაში (გახლავთ ემიგრანტი). თითოეულ ინტერვიუს სოციალურ ქსელში აქვს უამრავი ნახვა. გეტყვით, რომ ჩვენი საქველმოქმედო საკვირაო სკოლის პატარა ისტორიის ზოგიერთი ფრაგმენტი და ფოტო ატვირთულია სოციალურ ქსელში – ფეისბუქში. (ქართულად – საკვირაო სკოლა) მოსწავლე ლუკა მელაშვილის გვერდზე.

***– და ბოლოს – ფიქრობთ, რომ ეს ის არის, რაც თქვენ გინდოდათ?! ...***

– არა, ეს ნამდვილად არ არის ის, რაც მე მსურს, არც თავის მასშტაბით და არც შინაარსით. "დედა-პროექტი" უფრო მოცულობითია და ღრმა – შინაარსობრივად. ღვთის შეწევნის დიდი იმედი მაქვს, პრობლემებს არ ვეპუები. ვფიქრობ, ნაბიჯ-ნაბიჯ პროექტს სრულად ავითვისებ. ძალიან მახალისებს ჩვენი სკოლის მხარდამჭერთა სატელეფონო ზარები. უამრავი რაიონიდან შემეხმიანნენ, თბილისიდან, ლაგოდეხიდან, წნორიდან, ქუთაისიდან, წყალტუბოდან. უცნობი ადამიანები მადლობებს მიხდიან, ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს. (აღარაფერს ვამბობ თავად ბავშვებისა და მშობლების განწყობილებებზე). ცნობისათვის კი მინდა გითხრათ, ქალბატონო თინა, რომ ჩვენს რაიონში პირველი ხართ, ვინც ჩემი საქველმოქმედო საკვირაო სკოლის საქმიანობით დაინტერესდა.

ქალბატონო თინა, თუ ნებას მომცემთ ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა დიდი სიყვარულით დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ყოფილ პედაგოგებს, ამჟამად უკვე მეგობრებს, ქალბატონებს მარინა გულისაშვილს და ციური მჭედლიშვილს – მე ქველმოქმედება მათგან ვისწავლე! ...

***– მართლაც დიდი მადლობა მათ და თქვენ პირადად, რომ დაინახეთ მათში ის სული, რაც მათ აქვთ და თქვენი მდიდარი სულიერი სამყაროთი ბევრ ბავშვს, მათ მშობლებს, საერთოდ ყველას, ყველას ულამაზებთ ცხოვრებას, აღვიძებთ მათში ქართულ სულს, აცნობთ მშობლიური კუთხის სილამაზეს და მადლს, მის სიმდიდრეს და ასწავლით – რა სიმდიდრის პატრონები არიან და როგორ უნდა უპატრონონ, უგულ შემატკივრონ ამ სიმდიდრეს. კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ!***

# სიყვარულის დღე საგარეჯოში





**საგარეჯოს** კულტურის სახლის მცირე დარბაზში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჯაბადარი) სამუშაო გეგმის მიხედვით, გაიმართა შემოქმედებითი საღამო სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, სადაც პოეტური, მუსიკალური და მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ანსამბლი „პატარა გარეჯელები", ანსამბლი"მირელა", ტატო მარხვაშვილი, ნია გოგიჩაიშვილი, ანუკი კერატიშვილი, ნოდიკო გერსამია, მარიამ საგინაშვილი, ნანუკა სამბელაშვილი, მარიამ დარბაისელი, ვანო მათიაშვილი, ანანო ქურხული, სალომე ჯაბადარი, ანანო ქვლივიძე, გიორგი ჭეშურაშვილი, ლარისა ქვრივიშვილი, თამუნა ცხვარიაშვილი და ტატო სულიკაშვილი. დარბაზში გამოფენილი იყო ელზა გველესიანის, ნელიკო თიბიაშვილის, თამუნა ჩერქეზიშვილის, ლიკა მახარობლიშვილის და ნიკა ჯიქიძის მიერ შესრულებული ნახატები.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური დიდ მადლობას უხდის თითოეულ მონაწილეს საღამოს წარმატებით ჩატარებისთვის. მსგავსი ღონისძიებები კიდევ იგეგმება.

## მართლმადიდებლობა

# აღდგომა ქრისტესი

**ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!** – ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. აღდგომა ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარის პირველ კვირა დღეს. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 1 მაისს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: "მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები". კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: "მარიამ!" მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: "აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა – ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

აღდგომილი იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: "მე ვარ პური ზეცით გარდამოსული".

ქრისტე აღდგა!!!

# როგორ შევღებოთ სააღდგომო კვერცხები



**აღდგომის** წინ, წითელ პარასკევს მართლმადიდებლები ტრადიციისამებრ ვღებავთ კვერცხებს. ზოგი დიასახლისი უპირატესობას ანიჭებს ხელოვნურ საღებავებს - ზოგიც კი ბუნებრივს. კვერცხები უნდა იყოს შეღებელი მზის ჩასვლამდე პარასკევს.

**საჭირო მასალები/ხელსაწყოები:**

კვერცხი

ერთი შეკვრა ენდრო

წყალი

ხახვი

მარილი

ჭურჭელი რაშიც მოვხარშავთ.

**საფეხურები**

1 პირველ რიგში, სანამ დავიწყებდეთ კვერცხების შეღებვას, მოვიმარაგოთ საჭირო ინგრედიენტები. თუ რომელიმე მათგანი არ გვაქვს შევიძინოთ.

2 ავიღოთ 1 შეკვრა ენდრო. კარგად გარეცხვის შემდეგ დავჩეჩქვოთ ის. დავასხათ 1-1.5 ლიტრი წყალი. ავიღოთ 2 ან 3 ხახვი, გავფცქვნათ ისე, რომ მისი გარე ფურცლები მოვათავსოთ ასადუღებელ ჭურჭელში.

3 დავამატოთ 1 ჩაის კოვზი მარილი, რის შემდეგაც ჭურჭელი რაშიც უნდა შევღებოთ და შემოვდგათ ცეცხლზე. 20 წუთი დუღილი სრულიად საკმარისია.

4 დაელოდეთ ენდროს გაციებას, როგორც კი ის კარგად გაცივდება ჩააწყვეთ მასში საშუალოდ 20 კვერცხი. (ერთდროულად დიდი რაოდენობის კვერცხის მოხრშვისას შესაძლო ისინი კარგად არ შეიღებოს და ასევე დასკდეს.) 20-25 წუთის მანძილზე ხარშეთ კვერცხები. იმ შემთხვევაში თუ წყალი არ ფარავს კვერცხებს, დაამატეთ კიდევ, რამდენიც საჭირო იქნება კვერცხების დასაფრად.

5.25 წუთის შემდეგ. ფრთხილდ ამოიღეთ კვერცხები ჭურჭლიდან და გადაალაგეთ ცივ წყალში. ამ გზით კვერცხების გაცივების შემდეგ, ისინი ადვილად იფცქნება მერე. გადაწყობილი კვერცხები, 10 წუთის მანძილზე გააჩერეთ ცივ წყალში.

## საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის

## თხოვნა

## აღდგომის ღამეს ორი სანთელი დაანთეთ

## ერთი – პატიმრებისათვის, ერთი – სნეულთათვის.

წმინდანები

## მჯდომარე ანასტასია



**ანასტასია** საზანოვა 1886 წელს დაიბადა თბილისში. ცხოვრობდა ნახალოვკაში. დედა პატარა ასაკში გარდაეცვალა და დედინაცვალმა გაზარდა. ანასტასია ძალიან მორწმუნე გოგონა იყო და სახლთან ახლოს მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გალობდა. მჯდომარე ანასტასია სლავური გარეგნობის იყო. ანასტასიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მას ერთი უბრალო ღარიბი ოფიცერი შეუყვარდა და მასზე დაინიშნა კიდეც. დედინაცვალს გერის ეკლესიური ცხოვრება ძალიან აღიზიანებდა და არც მისი საქმრო მოსწონდა. 1905 წელს პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ანასტასიას საქმროც გაიწვიეს. ოფიცერი მასთან სახლში გამოსამშვიდობებლად მივიდა, მაგრამ დედინაცვალმა უთხრა: ანა ჭკუიდან შეიშალა, გაკოჭეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანესო. სასოწარკვეთილმა ოფიცერმა იარაღი ამოიღო და ადგილზევე მოიკლა თავი.

არადა, ანასტასია წირვაზე იმყოფებოდა, სახლში რომ დაბრუნდა და საქმრო მკვდარი იხილა, მუხლებზე დაეშვა და ამ დღიდან დაიწყო მისი მოწამეობრივი მოღვაწეობა. სურდა, თვითმკვლელის სულისათვის ელოცა. ხალხმა მას "მჯდომარე ანასტასია" შეარქვა. ანასტასია ათეული წლების მანძილზე, 1905 წლიდან 1970 წლამდე, სიცოცხლის ბოლომდე უძრავად, ქარსა და წვიმაში, მზესა თუ თოვლში საკუთარ ქუსლებზე იჯდა და განუწყვეტლივ ლოცულობდა.

მიუხედავად ამისა, ანასტასიას დედინაცვალი მაინც სასტიკად ექცეოდა, ყინვაში გამოდიოდა და ცივ წყალს ასხამდა. ერთხელ გამოუცხადა, შუა ეზოში რომ ზიხარ, გზაზე სიარულში ხელს მიშლიო და პატარა ქოხში შეუშვა, რომელიც ძაღლის სადგომს უფრო ჰგავდა. მან ჩათვალა, რომ რადგან ჭერი ჰქონდა, ამით ღვაწლი შეუმსუბუქდა, ამიტომ დამსხვრეული შუშის ბოთლებზე დაჯდა. ბასრი ნამტვრევები ხანდახან ძვლამდე ატანდა.

მიუხედავად ასეთი გაუსაძლისი პირობებისა, ანასტასია უძრავად იჯდა და ლოცულობდა, მაგრამ ავად არასდროს გამხდარა და არც ერთი ჭრილობა არ გართულებია.

მასთან უამრავი ადამიანი მოდიოდა და ლოცულობდა, მაგრამ ხშირად დევნიდა პოლიცია მომლოცველებს. თუმცა ერთხელ პოლიციის ერთ–ერთი მაღალი ჩინოვნიკის შვილს პრობლემები შეექმნა. ის მივიდა ანასტასიასთან და რჩევა ჰკითხა. პასუხად შეწევნა მიიღო და მას შემდეგ ისე სასტიკად აღარ დევნიდნენ.

ერთხელ მასთან საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძეც იყო. ანასტასიას მისთვის უთქვამს: "ერთ წელიწადში წყალდიდობა იქნება თბილისში, მთელი მარჯვენა სანაპირო ჩაირეცხება, ამიტომ დამცავი ჯებირები გააკეთეთო". მართლაც, მჟავანაძემ რუსეთიდან ფინანსები გამოითხოვა და ჯებირები გააკეთა. სწორედ იმ წელს, ანასტასიამ როგორც იწინასწარმეტყველა, მართლაც მოხდა წყალდიდობა, მაგრამ თბილისი გადარჩა.

ანასტასიასთან უამრავი სნეული მოდიოდა. მოჰყავდათ ბავშვები და მისგან შეწევნას იღებდნენ. იგი აიღებდა ვაშლს, ილოცებდა და ჯვარს გადასახავდა. გადმოცემით, ამ ვაშლის ჭამით ბევრი ადამიანი იკურნებოდა.

ღრმადმორწმუნე ანასტასია 1970 წელს გარდაიცვალა. ის 65 წელი ქუსლებზე იჯდა და ფეხები შეხორცებული ჰქონდა. დაკრძალულია კუკიას სასაფლაოზე. ადამიანები დღემდე მიდიან მის საფლავზე, ვაშლებს აწყობენ, სანთლებს ანთებენ და ანასტასიას შემწეობას, ჯანმრთელობასა და გაჭირვების ჟამს დახმარებას სთხოვენ.



## მილოცვა



**დაბადების** დღეს ვულოცავთ №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის, პარლამენტის წევრის თამარ ხიდაშელის ბიუროს მთავარ სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ჩვენს ულალატო მეგობარს **მაია ზალიკანიანს.** ვუსურვებთ წარმატებებს და პირად ბედნიერებას.

*ბიუროს თანამშრომლები*

ტაეკვანდო

## ჩემპიონი და ჩემპიონები ზესტაფონის ღია პირველობიდან

**სულ** ერთი წელი არცაა, რაც საგარეჯოს III საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო აიპ "საგარეჯოს სპორტული გაერთიანების" ტაეკვანდოს შემსწავლელმა წრემ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ საქმის სპეციალისტი და თავადაც მოქმედი სპორტსმენი არკადი ზუბიაშვილი. მიუხედავად დროის ასეთი სიმცირისა, საგარეჯოელი ტაიკვანდოელები და მათი მწვრთნელი უკვე იმკიან გარკვეულ წარმატებებს, რაზედაც ერთხელ უკვე გაამახვილა ყურადღება ჩვენმა გაზეთმა.

საგარეჯოელმა ტაიკვანდოელებმა მორიგი წარმატება იზეიმეს ამ დღეებში ზესტაფონში ჩატარებულ ღია პირველობაში, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტაიკვანდოისტი მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებაზე საგარეჯოელები ხუთი სპორტსმენით, მათ შორის ერთი გოგონათი წარსდგნენ და შეძლეს ***ოთხი საპრიზო ადგილის*** დაკავება, აქედან, ***ერთი პირველი, ორი მეორე და ერთიც მესამე ადგილის.*** კერძოდ, 36 კგ. წონით კატეგორიაში ღია პირველობის ვიცეჩემპიონი გახდა კადეტ გოგონათა შორის მოსპარეზე **ნინო მარტიაშვილი**. იუნიორებში 68 კგ. წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა **ვალერი ნარეკლიშვილი.** ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი ღია პირველობიდან კი 45 კგ. წონით კატეგორიაში ტყუპი ძმების **ლაშა და გიორგი შიოშვილების** ასპარეზობა გახლდათ. ძმებმა ისე ჩაატარეს პირველობა, რომ ყველა მეტოქე ჩამოიშორეს გზიდან და ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთის წინაშე მოუწიათ დადგომა. ძმების შეხვედრაში უფრო **ლაშამ** იმარჯვა და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. **გიორგიმ კი მეორე ადგილი დაიკავა**.



სპორტი

## ირაკლი კუპატაძე უკვე მესამედ ევროპის ჩემპიონია

**აიპ "საგარეჯოს** სპორტგაერთიანების" ფალავნის, ჭიდაობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონის ირაკლი კუპატაძის სპორტული მიღწევები საყოველთაოდაა ცნობილი ქართული ჭიდაობის წრეებში. ჩვენებურმა მოჭიდავემ მორიგ წარმატებას და უკვე მესამედ ევროპის ჩემპიონობას მიაღწია საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატზე, სადაც მონაწილეობას იღებდა 57 კგ. წონითი კატეგორიის მოჭიდავეებში. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მოუწია ასპარეზობა, ირაკლიმ შეძლო მათი წინააღმდეგობის გატეხა. ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში მან გზიდან ჩამოიცილა საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი მეტოქე, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ბელორუსი მოჭიდავე, ფინალში კი დაამარცხა რუსეთის წარმომადგენელი და ევროპის ჩემპიონის ნანატრ ოქროს მედალს დაეუფლა ახალგაზრდებში.



ქართული ჭიდაობა

## ზესტაფონში, საქართველოს პირველობაზე

ამ დღეებში ზესტაფონში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" ფალავნებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათგან იმარჯვა და 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ლაშა მათიაშვილი.

თავისუფალი ჭიდაობა

## არსენ მეკოკიშვილის ტრადიციულ ტურნირზე

**აპრილი** ჩვენი ლეგენდარული ფალავნის არსენ მეკოკიშვილის დაბადების თვეა. 1912 წლის 12 აპრილს დაბადებულმა გიორგიწმინდელმა გოლიათმა მოწიფულობის ასაკამდე იასპარეზა და დედამიწის ზურგზე უძლეველი მოჭიდავის სახელით დატოვა საჭიდაო ხალიჩა. თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, 18 გზის გახდა ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონი, იყო საქართველოს აბსოლუტური ფალავანი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და სხვ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მუშაკები, მადლიერი შთამომავლობა არ ივიწყებს მის ღვაწლს, რომლის აღსანიშნავადაც აპრილის თვეში ყოველწლიურად ტარდება დიდი ფალავნის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში. ასე იყო მიმდინარე წლის 16-17 აპრილსაც. საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა მორიგი ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბოლნისის, კასპის, დედოფლისწყაროს, რუსთავის, ბაღდათის, ყვარლის, საგარეჯოს და სოფელ ხაშმის ახლადგახსნილი თავისუფალი ჭიდაობის სექციის მოჭიდავეები.

ასპარეზობა 13 წონით კატეგორიაში ჩატარდა, რომლის მსაჯიც ჩვენი თანამემამულე, თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ლევან თედიაშვილი იყო. ჭიდაობა ყველაზე პატარა, 23 კგ. წონით კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც სამივე საპრიზო ადგილები ნორჩმა საგარეჯოელმა ფალავნებმა დაიკავეს. აქ ჩემპიონი გახდა ნიკა საგინაშვილი, რომელმაც ამ ტიტულისათვის ფინალურ შერკინებაში დაჯაბნა დავით ქურხული, თორნიკე ნარიმანიშვილი კი მესამე ადგილზე გავიდა.

26 კგ. წონითი კატეგორიის გამოტოვების შემდეგ 28 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს და ვერცხლის სინჯის მედლების მფლობელები გახდნენ თორნიკე ასაბაშვილი და შაკო გულისაშვილი (ორივე საგარეჯოდან).

32 კგ. წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილები გაიყვეს ხაშმელებმა ნიკა ბლუიშვილმა და დათო დიღმელაშვილმა.

35 კგ. წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა გიორგი საგინაშვილი. საგარეჯოელი გიგი ქურხული უძლიერესი იყო 42 კგ. წონით კატეგორიაში. ამავე წონაში III ადგილი დაიკავა თორნიკე თულაშვილმა.

საგარეჯოელი ფირუზ ქვლივიძის ჩემპიონობით დამთავრდა ასპარეზობა 47 კგ. წონით კატეგორიაში. ამავე წონაში III ადგილი დაიკავა ხაშმის სექციის აღსაზრდელმა ლუკა შინჯიკაშვილმა.

ბაჩო ქვლივიძე (საგარეჯო) უძლიერესი აღმოჩნდა 53 კგ. წონით კატეგორიაში, ხოლო დავით კუჭუაშვილი ჩემპიონი გახდა 58 კგ. წონით კატეგორიაში. გიორგი შინჯიკაშვილი მეორე პრიზიორი გახდა 66 კგ. წონით კატეგორიაში. მისი მოგვარე, ნიკა შინჯიკაშვილი, ასევე, მეორე ადგილის მფლობელი გახდა 73 კგ. წონით კატეგორიაში. მათი თანასოფლელის თემური ნახუცრიშვილის ჩემპიონობით აღინიშნა ასპარეზობა მძიმე (+73 კგ) წონაში. აქვე, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა კიდევ ერთმა ხაშმელმა მოჭიდავემ ლუკა მამუჩიშვილმა.

ტურნირზე სხვა ჯილდოებთან ერთად, მეკოკიშვილის ვაჟის გიორგი მეკოკიშვილის მიერ დაწესებული იყო არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი, რომელიც მძიმე წონაში გამარჯვებულ ხაშმელ თემურ ნახუცრიშვილს გადასცა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ორგზის ოლიმპიური თამაშების და 5 გზის მსოფლიო ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა.

პრიზი საუკეთესო ჭიდაობისათვის გადაეცა 42 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებულ გიგი ქურხულს, რომელიც მას პირადად გოგი მეკოკიშვილმა გადასცა.

*გ. დაბახიშვილი*

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru